მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N5

ქ.მარტვილი 29 აპრილი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 11[00] საათზე, დამთავრდა 14[00] საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, შალვა ბახია, ელიზბარ ახვლედიანი, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ვლადიმერ დანელია, გიორგი ჯიჯელავა.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ; საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.
სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგი:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების თაობაზე;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2.მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან, მდებარე მუნიციპალიტეტი მარტვილი თავისუფლების ქ N 10 ს.კ: 41.09.04.094.01.508 არასაცხოვრებელი ფართის: 21.01კვ.მ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარტვილის საგანმანათლებლო „რესურსცენტრი"-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
4. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლისთვის თედო ჯღარკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების თაობაზე;
მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი, და დასძინა რომ აღნიშნული საკითხი დაეგზავნათ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს განსახილველად და სთხოვა ბიუროს წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10, წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: .სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10 წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა რომ თვითმმართველობის კოდექსში შეტანილია გარკვეული ცვლილებები და მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი შესაბამისობაშია მოსაყვანი თვითმმართველობის კოდექსთან და სთხოვა
ბიუროს წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10 წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან, მდებარე მუნიციპალიტეტი მარტვილი თავისუფლების ქ N 10 ს.კ: 41.09.04.094.01.508 არასაცხოვრებელი ფართის: 21.01კვ.მ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარტვილის საგანმანათლებლო „რესურსცენტრი"-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარტვილის საგანმანათლებლო „რესურსცენტრი"–ის წერილი აღნიშნული ფართის მათზე სასაწყობე დანიშნულებით გადაცემასთან დაკავშირებით და ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10 წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლისთვის თედო ჯღარკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხები და სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე გრიგალავამ აღნიშნა, რომ აღნიშნული პიროვნება გახლდათ მეცენატი, წლების წინ მან მისი კუთვნილი უძრავი ქონება საჩუქრად გადასცა სახელმწიფოს სკოლის დასაარსებლად და ის მიესალმება სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლისთვის თედო ჯღარკავას სახელის მინიჭებას.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

კენჭისყრის შედეგად 10 ხმით არცერთის წინააღმდეგ

ბიურომ გადაწყვიტა: სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლისთვის თედო ჯღარკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა